პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 216 (6271)

1978 წ. 2 ნოემბერი, ხუთშაბათი, ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

## ფეხბურთი

### უეფა-ს თასი

### „დინამო" (თბილისი) — „ჰერთა" 1:0

გუშინ ვ. ი. ლენინის სახელობის თბილისის „დინამოს" სტადიონზე გაიმართა უეფა-ს თასის მეთექვსმეტეფინალის განმეორებითი მატჩი თბილისის „დინამოსა" და დასავლეთ ბერლინის „ჰერთას" შორის. 90 წუთის განმავლობაში აშკარა იყო მასპინძელთა უპირატესობა, მაგრამ ბევრი საგოლე მომენტიდან გამოყენებულ იქნა მხოლოთ ერთი, როცა შენგელიამ 57-ე წუთზე გაიტანა გოლი.

შეხვედრა მოიგო „დინამომ" — 1:0, მაგრამ ორი მატჩის ჯამში გათამაშების შემდგომ ეტაპში დასავლეთ ბერლინის ფეხბურთელები გავიდნენ.



## ქეთევანის ზუსტი ისრები

უკვე ვიტყობინებოდით, რომ აშხაბადში გამართულ მშვილდოსნთა საკავშირო თასის გათამაშებაში შესანიშნავად იასპარეზა თბილისის უნივერსიტეტის ზოგადი მათემატიკის კათედრის ლაბორანტმა, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა ქ. ლოსაბერიძემ, რომელმაც ქალთა შორის შეჯიბრებაში თავიდანვე ხელთ იგდო ლიდერობა და სამი დღის მერე იგი საგრძნობლად უსწრებდა ყველა მეტოქეს.

„ლელო" იმასაც წერდა, რომ ქეთევანმა 70 მეტრზე 72 ისრის ტყორცნით 621 ქულა მოაგროვა და 8 ქულით გაუმჯობესა ზ. რუსტამოვას ადრინდელი საკავშირო რეკორდი. იმ დროისთვის სხვა ცნობები რედაქციას არ გააჩნდა.

ტურნირის დამთავრების მეორე დღესვე ვინახულეთ ტურნირიდან დაბრუნებული საქართველოს ნაკრების უფროსი მწვრთნელი ი. გრებენიკოვი, რომელიც პასუხისმგებელია რესპუბლიკის მშვილდოსნების სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადისთვის მომზადებაზე. სწორედ გრებენიკოვის დამსახურებით ჩვენთვის ნათელი გახდა, აშხაბადში ოთხი დღის მანძილზე მიმდინარე ბრძოლების შედეგები, რომელსაც მკითხველებსაც ვთავაზობთ.

29 წლის [illegible] ქალაქის ორწლიანი შეჯიბრების შემდეგ დაუბრუნ[illegible] [illegible]ებას და უფრო დიდ წარმატებებს აღწევს. თასის გათამაშებაში კი ყველა მოლოდინს გადააჭარბა — სსრ კავშირის 3 რეკორდი გაუმჯობესა, რომელთაგან ერთი მსოფლიო რეკორდსაც აღემატება. მაგრამ მათ შესახებ ქვემოთ.

როგორც ქალთა, ისე ვაჟთა გუნდებში მოკავშირე რესპუბლიკებს, მოსკოვსა და ლენინგრადს 2-2 მონაწილე გამოყავდა და გუნდურ ჩათვლაში თასის ბედიც მათი შედეგების უკეთესი ჯამით წყდებოდა. მაგრამ სარბიელზე 17 გუნდის 34 ქალი კი არა, გაცილებით მეტი, 62 მონაწილე გამოვიდა (პირად ტურნირში თასისთვის ბრძოლის უფლება ყველას ჰქონდა), ისე, რომ თურქმენეთის დედაქალაქში 17 საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, 41 სპორტის ოსტატი და 3 ოსტატობის კანდიდატი შეგროვდა.

მონაწილეთა შორის ყველაზე ტიტულიანი გახლდათ მოსკოველი სპორტის დამსახურებული ოსტატი ე. გაპჩენკო, რომელმაც ამ შეჯიბრებაში საბოლოოდ 2446 ქულა მოაგროვა და მხოლოდ X ადგილს დაკავება შეძლო.

ლოსაბერიძე პირველივე ვარჯიშიდან დაწინაურდა, როცა 70 მეტრზე 36 ისრის სროლით 318 ქულა მოაგროვა, 10 ქულით მეტი, ვიდრე ბაქოელმა ოსტატმა ტ. კუზნეცოვამ და 11 ქულით მეტი, ვიდრე ტაშკენტელმა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა ო. როგოვამ.

მაგრამ იმავე დღეს 60 მეტრიდან შეჯიბრებამ წარმატება მოუტანა ირკუტსკელ საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატ ლ. შიკოტას, რომელიც ქეთევანზე 2 წლით უფროსია. მან 319 ქულა მოაგროვა. ლოსაბერიძემ III შედეგი (315 ქულა) აჩვენა, 2 ქულით ნაკლები, ვიდრე ტარტუელმა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა ე. სუიტსმა.

ამის შემდეგ ნათელი გახდა, რომ ბრძოლა თასისთვის ფაქტიურად ლოსაბერიძეს, შიკოტასა და როგოვას შორის უნდა გამართულიყო, თუმცა სპეციალისტები აღც საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატებს, ტაშკენტელ ნ. ბუტუზოვასა, ხარკოველ ლ. ნოვიკოვასა და იმავე სუიტსს ივიწყებდნენ. გაჩენკოს, რომელმაც პირველ დისტანციაზე XX, ხოლო 60 მეტრიდან სროლაში VIII შედეგები აჩვენა, პრეტენდენტად უკვე არავინ თვლიდა.

ქეთევანს მთავარ მეტოქეებთან ბრძოლაში მეორე დღემ ახალი წარმატება მოუტანა. მართალია, 50 მეტრზე ასპარეზობაში გამარჯვებულ როგოვას (316 ქულა) იგი 3 ქულით ჩამორჩა, სამაგიეროდ 30 მეტრზე ქულა მოუგო — 341 ქულა მოაგროვა, თუმცა ამ შედეგით იგი მხოლოდ III ადგილზე გავიდა (ლოსაბერიძეს აჯობეს ბუტუზოვამ — 344 ქულა და შიკოტამ — 343). მაგრამ, როცა მ-1 ვარჯიშის შემდეგ შეჯამდა, სურათი ნათელი გახდა: თბილისელ პედაგოგს ორი დღის მანძილზე 1287 ქულა მოუხვეჭია, შიკოტას — 1275, როგოვას — 1269, ბუტუზოვას — 1258...

(დასასრული მე-2 გვ.).

• • •

სურათზე: ქ. ლოსაბერიძე.
ა. საკოვის ფოტო.

## სტუდენტები — მეორე გუნდით

საქართველოს პროფკავშირთა სპარტაკიადის პროგრამით ქალთა ბურთელთა ტურნირის მონაწილეები თავიდანვე ორ-ორ ჯგუფად გაყენენ, ქვეჯგუფებში გამარჯვებულებმა კი ჩემპიონის ტიტული გაიმეორეს.

თბილისის უნივერსიტეტის დარბაზში გამართულ შეჯიბრებაში ქალთა I ქვეჯგუფში „სპარტაკმა" ორი მოწინააღმდეგე დამარცხა — „კოლმეურნეს" მოუგო ანგარიშით 59:35, ხოლო „ლოკომოტივს" — 42:23 და ფინალში თამაშის უფლება მოიპოვა. აქ მას მეტოქე მეორე ქვეჯგუფში გამარჯვებული „ბურევესტნიკი" გახლდათ.

სტუდენტებს პირველი ადგილისათვის სათამაშოდ ქვეჯგუფში საბრძოლო გამარჯვება დასჭირდათ. „ბურევესტნიკმა" მოუგო „განთიადს" (52:38), „ვოდნიკს" (72:63) და „შრომით რეზერვებს" (68:37).

შემდეგ სტუდენტთა კოლექტივმა ფინალშიც იმარჯვა, იოლად დაამარცხა „სპარტაკი" — 50:39 და ჩემპიონობაც მოიპოვა. III ადგილისათვის ერთმანეთს შეხვდნენ ქვეჯგუფებში მეორე ადგილებზე მყოფლები — „ვოდნიკი" (ქვეჯგუფში მან „განთიადსაც" სძლია — 41:23 და „შრომით რეზერვებსაც" — 50:32) და „ლოკომოტივი". საინტერესო მატჩი „ვოდნიკმა" მოიგო — 69:57.

ვაჟთა გუნდების ფინალში ერთმანეთის პირისპირ დადგნენ „კოლმეურნე" და „ბურევესტნიკი", სტუდენტები ამ ტურნირში თავიანთი უძლიერესი ნაკრებით როდი ჩაებნენ (მაშინ პირველ გუნდს საკავშირო ასპარეზობა ჰქონდა), მაგრამ ქვეჯგუფში მაინც ყველას აჯობეს — იოლად დაამარცხეს „ვოდნიკი" (52:32) და „შრომითი რეზერვები" (82:41), მაგრამ „განთიადთან" წარმატება ერთი ქულის უპირატესობით მოიპოვეს — 88:87.

ამ ტურნირში „განთიადის" სახელს ტრესტ „ინგმაშენის" კოლექტივი იცავდა. აქ საკმაოდ ძლიერი გუნდი ჰყავთ. მის წევრთა უმეტესობა სპორტის ოსტატები და მაღალთანრიგოსნები რესპუბლიკის უძლიერესი კოლექტივების ყოფილი წევრები არიან.

მეორე ქვეჯგუფში „კოლმეურნემ" სძლია „სპარტაკს" (69:67) და „ლოკომოტივს" (76:44), ფინალში „ბურევესტნიკიც" დაამარცხა ანგარიშით 67:60 და უძლიერესის სახელი მოიპოვა. „განთიადმა" III ადგილისათვის ბრძოლაში შეძლო „სპარტაკის" დამარცხება — 79:70

ჯ. ქვარცხავა,
მ. სამადაშვილი.

## გულთბილი შეხვედრები

„შრომითი რეზერვების" საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ფიზიკულტურული ორგანიზაციებისათვის წლევანდელი სამეურნეო წელი ნაყოფიერად მიმდინარეობს. ამ უკვე 29 ოქტომბრისათვის, ლენინური კომკავშირის იუბილეს დღეებისთვის, შეასრულეს ფიზიკულტურისა და სპორტის განვითარების ძლიერი დავალების ძირითადი მაჩვენებლები. ამასთან, უკანასკნელი 20 წლის მანძილზე პირველად შეძლეს ერთ სეზონში ორი საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის მომზადება.

წლეულს ამ საზოგადოების სპორტსმენები სხვა წინა სპარტაკიადებთან შედარებით უკეთ გამოიყენეს პროფტექგანათლების სისტემის XV საკავშირო სპარტაკიადაში, სადაც საერთო VI ადგილი მოიპოვეს (მარშან XIV ადგილზე იყვნენ).

რესპუბლიკის მუშათა კლასის რეზერვის — პროფტექსასწავლებლების ველოსიპედისტებმა ამ დღეებში მოაწყვეს მრავალდღიანი ლაშქრობა, რომელიც კომკავშირის იუბილეს მიეძღვნა. გადარბენაში რამდენიმე სასწავლებლის 15 საუკეთესო სპორტსმენი მონაწილეობდა. მათ თბილისიდან, გორის და ცხინვალის გავლით მოინახულეს სოხუმი, ბათუმი, ქუთაისი და შინ დაბრუნდნენ. ყველგან, სადაც კი ლაშქრობის მონაწილენი ჩადიოდნენ, საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტისა და პროფტექგანათლების რესპუბლიკური კომიტეტის წინასწარი ზრუნვით ეწყობოდა გულთბილი შეხვედრები, ხალხმრავალი მიტინგები, რომლებზეც სიტყვებით გამოდიოდნენ როგორც ლაშქრობის მონაწილენი, ისე მასპინძელი ქალაქებისა და რაიონების წარმომადგენლები.

ნ. ტყეშელაშვილი,
„შრომითი რეზერვების" რესპუბლიკური საბჭოს ფიზიკურ-ზრდის განყოფილების მეთოდისტი.

## საბჭოთა გუნდები წინ მიიწევენ

ბუენოს-აირესში მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადებზე გაიმართა V ტურის შეხვედრები.

ვაჟთა შეჯიბრებაში ცენტრალური მატჩი გაიმართა ლიდერებს — საბჭოთა კავშირისა და ინგლისის გუნდებს შორის. გაპჩენიანმა სძლია ნანს, ხოლო რომანიშინი და ჰარტსტონი ყაიმზე შეთანხმდნენ. გადაიდო მსოფლიოს ექს-ჩემპიონების სპასკისა და პეტროსიანის პარტიები, შესაბამისად, მაილსთან და სტინთან.

საბჭოთა ნაკრებმა გაიმარჯვა IV ტურის შეხვედრაში კუბის კოლექტივთან — 3:1 (სპასკიმ მოუგო ერნანდეზს, პეტროსიანი დაუზავდა როდრიგესს, პოლუგაევსკიმ სძლია ვიდელას, ხოლო ვაჰანიანი ყაიმს დასჯერდა ლებრედოსთან).

მე-5 ტურის დანარჩენი შეხვედრები ასე წარმართა: კუბა — ჰოლანდია — 2,5:0,5 (1 გადადებულია), ბულგარეთი — ესპანეთი — 1,5:0,5 (2), უნგრეთი — აშშ — 2:2, იუგოსლავია — საფრანგეთი — 1:1 (2).

საბჭოთა კავშირის მოჭადრაკე ქალთა გუნდი უგებს ფინეთის ნაკრებს — 2:0 (1 პარტია გადაიდო), ხოლო მე-4 ტურის გადადებული პარტია ვენესუელის მოჭადრაკესთან გაფრინდაშვილმა მოიგო და ამრიგად სამხრეთამერიკელები საბჭოთა ნაკრებმა დაამარცხა ანგარიშით 3:0 (მანამდე ამ შეხვედრაში პარტიები მოიგეს ალექსანდრიამ და ახმილოვსკაიამ).

## ჭადრაკი

### სიმჭიდროვეა სატურნირო ცხრილში

ქუთაისი, 1 ნოემბერი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.) გუშინ ფ. ქარსელაძის მემორიალზე გადადებული პარტიების დამთავრებამ შეიტანა ცვლილება ტურნირის ცხრილში. ამ ეტაპზე ლიდერობენ ერთ-ერთ ერთ ერთ ერ ... ... ...

# ქეთევანის ზუსტი ისრები

დასასრული

თასის დასაუფლებლად ეს როდი ყმაროდა. წინ კიდევ ორდღიანი შეჯიბრება იყო. მშვილდოსნებს კი ვარჯიშები თავიდან უნდა გაემეორებინათ. ეს იყო ძალისა და ნებისყოფის ნამდვილი გამოცდა.

...თურქმენეთის კომკავშირის 50 წლისთავის სახელობის სარბიელზე, სადაც ტურნირი მიმდინარეობდა, ტემპერატურა 24-31 გრადუსის ფარგლებში თამაშობდა, ქარის სისწრაფე 1-3 მეტრის ფარგლებში მერყეობდა და იგი უმეტესად აღმოსავლეთიდან ქროდა. ბევრი საყვედურს გამოთქვამდა. ლოსაბერიძეს კი საყვედურებისთვის არ ეცალა — ისარს ისარზე აგზავნიდა.

სამი დღის ჯამში ლოსაბერიძე (1897 ქულა) უახლოეს მეტოქეს — შიკოტას 20 ქულას უგებდა. უკანასკნელი დღეც დადგა. ლიდერმა 50 მეტრიდან 329 ქულა აჩვენა — მისსავე ამასწინანდელ შოლიო რეკორდზე 7 ქულით მეტი. და როცა ამ დისტანციაზე ორივე კარჯიში ნაჩვენები შედეგები შეჯამდა, ლოსაბერიძეს (642 ქულა) ყველამ გამარჯვება მიულოცა. ქეთევანმა ბოლო ვარჯიშში — 30 მეტრზე სროლაში 360 შესაძლებლიდან 345 ქულას მოუყარა თავი და აქაც I ადგილი დაიკავა.

**2571 ქულა!** ასეთია თბილისელი საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატ ქ. ლოსაბერიძის მაჩვენებელი მ-2 ვარჯიშის ჯამში, **ასეთი იქნება ამიერიდან სსრ კავშირის რეკორდიც. ლოსაბერიძე სსრ კავშირის თასის მფლობელი გახდა.** მან II ადგილზე გასულ ლ. შიკოტას 51 ქულა მოუგო. ამგვარი შეჯიბრების ისტორიაში კი ეს იშვიათობაა. ბუტუზოვამაც 2520 ქულა მოაგროვა, მაგრამ იმის გამო, რომ შიკოტას მეტი საპრიზო ადგილები ჰქონდა, II ადგილი მას მიეკუთვნა.

ბარემ აქვე ვიტყვით, რომ ქეთევანმა ამ შეჯიბრებაში საქართველოს 8 რეკორდი გაუმჯობესა. აი ისინიც: 30 მეტრიდან ასპარეზობის მეორედ შესრულებისას 345 ქულა აჩვენა, ძველ რეკორდზე ქულით უკეთესი, ხოლო ამ დისტანციის ჯამში ძველ მიღწევას (678 ქულა) ერთბაშად 8 ქულით ვადაამეტა; 50 მეტრიდან შეჯიბრებაში 329 ქულა მოაგროვა (ძველი რეკორდი იყო 322 ქულა), ჯამში — 642 (ადრინდელი მიღწევა 615 ქულას უდრიდა); 70 მეტრზე ახალი რესპუბლიკური რეკორდებია 318 და 621 ქულა (იყო 311 და 601) და ბოლოს, მ-1 ვარჯიშში აღრინდელი მიღწევა (1282 ქულა) 5 ქულით განაახლა, მ-2 ვარჯიშში კი 81 ქულით (რეკორდი იყო 2490 ქულა). აღსანიშნავია, რომ ყველა ძველი მიღწევაც ლოსაბერიძეს ეკუთვნოდა

გუნდურ ტურნირში რაღა ქნეს ჩვენმა ქალებმა? მეორე ადგილს დასჯერდნენ, რადგან 4952 ქულა მოაგროვეს. ეს 72 ქულით ნაკლებია, ვიდრე უზბეკეთის გუნდისა (ბუტუზოვა, როგოვა), რომელიც თასს დაეპატრონა.

რა მოხდა? საქართველოს გუნდის მეორე წევრს, პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტს, სპორტის ოსტატ ე. გოლუბოვას პირადი რეკორდი არ გაუუარესებია, ოთხი დღის მანძილზე 2381 ქულა მოაგროვა, მაგრამ ეს საკმარი არ აღმოჩნდა ლოსაბერიძის მოპოვებული პოზიციების განსამტკიცებლად. გოლუბოვამ XX ადგილი დაიკავა და 49 ქულით აჯობა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატს გ. რიბამაძეს (სამივე — „ბურევესტნიკი“), რომელიც პირად პირველობაში გამოდიოდა.

და მაინც, ქალებს ვერ დაევმდურებით. აი კაცებზე კი... კაცებმა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა, 20 წლის ნ. მიქელაძემ („ლოკომოტივი“, 1359 ქულა) და საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა ნ. ტროპინმა („კოლშეურნე“, 2237 ქულა) ერთად 4596 ქულით XII ადგილი დაიკავეს, რამაც საქართველოს ნაკრები საერთო გუნდურ ჩათვლაში VI ადგილზე გაიყვანა.

როგორც გრებენიკოვმა გაგვანდო, გუნდის ხელმძღვანელობა მიქელაძეს ვერ დაემდურება, რადგან სპორტსმენს უმაღლესი სასწავლებლის გამოცვლის გამო (ფიზკულტურის ინსტიტუტიდან უნივერსიტეტში გადავიდა) ინსტენსიური წვრთნის საშუალება არ გააჩნდა. ტროპინზე ამას ვერ ვიტყვით, ტროპინზე, რომელმაც საქართველოს თასის გათამაშებაში გაცილებით უკეთესი შედეგები მოიპოვა, ვიდრე იქ, აშხაბადში.

ვაჟთა შორის სსრ კავშირის თასს დაეუფლა ოდესელი საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ი. ფაინშტეინი — 2523 ქულა. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატები ა. ივანენკო (მოლდავეთი) — 2502 და ი. ვოლკოვი (რსფსრ) — 2502.

გუნდური პირველობა უკრაინის კოლექტივს დარჩა — 4941 ქულა. II ადგილზეა აზერბაიჯანის (4912), III — რსფსრ-ს (4898) კოლექტივები.

საერთო გუნდურ ჩათვლაში თასი რსფსრ-ს მშვილდოსნებმა მოიგეს.

ო. ბელაშვილი.

# გაისად ალმა-ათაში

**ერევნის** სპორტულ ბაზებზე დამთავრდა სსრ კავშირის მეხუთე ჩემპიონატი მშდ კომპლექსის მრავალჭიდში გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის“ პრიზებზე, რომელიც ლენინური კომკავშირის 60 წლისთავს მიეძღვნა.

სამდღიანი საინტერესო ბრძოლების შემდეგ ოქროს მედლები მოიპოვეს: პირველი საფეხურის ნიშნოსანთა შეჯიბრებაში ი. რუსინოვამ (რსფსრ I) და ა. ალავერდიანმა (სომხეთი), მეორე საფეხურის ნიშნოსნებში — ტ. ივანოვამ (რსფსრ I) და ა. ბორტკევიჩუსმა (ლიტვა), მესამე საფეხურის ნიშნოსნებში — ო. ზიბარევამ (რსფსრ I) და რ. მელიქიანმა (სომხეთი). მეოთხე საფეხურის პირველ ასაკობრივ ჯგუფში ჩემპიონები გახდნენ ლენინგრადელი ნ. ივანოვა და მასპინძელთა გუნდის წევრი ა. გულამბარიანი, ხოლო მეორე ასაკობრივ ჯგუფში — მოსკოველი გ. შურხოვეცკაია და გ. ლიტოფჩენკო (უკრაინა). მეხუთე საფეხურზე პირველი ადგილები წილად ხვდათ ა. სვდოვას (რსფსრ I) და ვ. ინდრიტონს (ესტონეთი).

საერთო გუნდური პირველობა 3669 ქულით მოიგო რსფსრ-ს ნაკრებმა. უკრაინელები მათ 42 ქულით ჩამორჩნენ. მესამე ადგილზე არიან ლენინგრადის მრავალჭიდელები.

მშდ კომპლექსის მრავალჭიდში მეექვსე საკავშირო ჩემპიონატი გაისად ალმა-ათაში ჩატარდება.

## ჟურნალისტთა სპორტიფონით

### ✦ ახმეტა

სოფელ დუისში ჩატარდა რაიონის პირადი პირველობა ქართულ ჭიდაობაში მოსწავლეთა შორის. ორ ასაკობრივ ჯგუფში რაიონის ათი სკოლის 129 მოსწავლე გამოვიდა.

წონითი კატეგორიების მიხედვით რაიონის ჩემპიონები გახდნენ — უმცროს ასაკში: ა. ქავთარაშვილი, გ. ჭიკაიძე, თ. მაჩალიკაშვილი, ი. ქავთარაშვილი, ი. ჭიჭიკლიშვილი, ზ. ქიზიყელაშვილი, გ. გუმაშვილი, კ. ჩხუტიაშვილი, მ. ყვარელაშვილი. უფროს ასაკში: მ. ზვიადური, ლ. პატარაშვილი, გ. მოსიაშვილი, ა. ქუშნარაშვილი, ბ. იჩოშვილი, ზ. ქისტაშვილი, ვ. ფრტიძე, ა. ქავთარაშვილი, გ. ხუცურაული.

გ. აბრამიშვილი,
სპორტის ოსტატი.

ალპინიზმის მოყვარულები სიამოვნებით ჩამოდიან საქართველოში, მთამსვლელთა ბანაკ „აილამაში“, საიდანაც კავკასიონის მწვერვალებს იპყრობენ. ალპინისტთა შორის არიან როგორც საბჭოთა, ისე უცხოელი მთამსვლელები.

სურათზე: მთამსვლელთა ერთი ჯგუფი მწვერვალთა დასაპყრობად მიეშურება.

საკედანის ფოტო.

# იუფშარასა და გეგას ალმა-ათაში...

**გაგრის** მახლობლად დამთავრდა მიხეილ ხერგიანის მეომორიალი მეკლდეურობაში. ამგვარი ასპარეზობა ტრადიციულია. იგი უკვე მესამე წელია მდინარეების იუფშარასა და გეგას ხეობაში, მაღალმთიანი რიწის ტბისაკენ მიმავალ გზაზე ტარდება. ამჯერადაც გულღიად მასპინძლობდა სტუმრებს შავი ზღვისპირეთის ეს ულამაზესი ადგილი. შეჯიბრების მაღალ დონეზე ჩატარებას ხელი შეუწყო საორგანიზაციო კომიტეტმა, რომლის თავმჯდომარეც გაგრის პარტიის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი **ნ. ვორონოვი** იყო.

ასპარეზობაში მონაწილეობდნენ ალმა-ათის, ხარკოვის, მოსკოვის, ორჯონიკიძის, დნეპროპეტროვსკის, მესტიისა და თბილისის გუნდები. ისინი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ქალებისა და ვაჟების ინდივიდუალურ გარბენში და „დომბაის წყვილებში“. გამარჯვებულად კი ის ითვლებოდა, ვინც ორჭიდში ყველაზე მეტ ქულებს დააგროვებდა.

ქალთა შორის ინდივიდუალურ გარბენში პირველი იყო თბილისის ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტი ი. კრუპენინა, მან 50-მეტრიანი კლდოვანი ტრასის გავლას 4.17,6 მოანდომა და 120 ქულა მოაგროვა. მეორე იყო დნეპროპეტროვსკელი ვ. კურშაკოვა (5.54,8 — 110,14 ქ.), ხოლო მესამე — თბილისის II გუნდის წევრი ლ. გიგოლაევა (6.27,8 — 104,8 ქ). აქვე უნდა აღინიშნოს ჩვენი ერთ-ერთი საუკეთესო სპორტსმენის, ვეტერანი მეკლდეურის ი. თურმანიშვილის მარცხი. არადა, კონკურსანტ-ვილის მარცხი. არადა, კონკურსანტ-რეშე მან საუკეთესო დრო — 3.44 აჩვენა.

ვაჟთა შორის პირველობა მესამედ დაისაკუთრა თბილისის I გუნდის წევრმა, სსრ კავშირის ჩემპიონმა ლ. გურჩიანმა. ... 60-მეტრიანი კლდოვანი ... 2.30 გაიარა და 120 ქულა მოაგროვა. II ადგილი დაიკავა თბილისის II გუნდის წარმომადგენელმა, უნივერსიტეტის სტუდენტმა ბ. ბულაშვილმა (2.55 — 116,72 ქ.), ხოლო III — ალმაათელმა ს. რიაბოვმა (3.03,2 — 110,45 ქ).

„დომბაის წყვილები“ მეკლდეურობის ისეთი სახეობაა, სადაც ... მსვლელური ტექნიკისა და ტაქტიკის ცოდნა ვლინდება. ტრასაზე გამოყენებულია ხელოვნური და ბუნებრივი საყრდენები, მონაწილეს უფლება აქვს დამხმარე თოკი, კაბეები და სხვა საჭირველი იარაღი.

ამ საინტერესო სახეობაში ქალთა შორის პირველები იყვნენ ... თურმანიშვილისა და ი. კრუპენინას წყვილები (12.22,6 — 231 ქ). II ადგილზე გავიდნენ ალმაათელი ტ. მუხიტოვა და ი. დავიდოვა (16.41,4 — 210 ქ), მესამე იყო დნეპროპეტროვსკელთა წყვილი — ვ. კუშაკოვა და ე. სვინტენი (15.39,2 — 203,46 ქ).

ვაჟთა შორის გამარჯვება წილად ხვდათ ლ. გურჩიანსა და ... დიდებულიძეს (11.05,8 — 234 ქ). II ადგილზე გავიდნენ ალმაათელები ს. რიაბოვი და ბ. პოპოვი (13.47 — 226,91 ქ), ხოლო მესამეზე — ხარკოველი ვ. ფილიპენკო და ა. ბაბიცკი (16.17 — 212,26 ქ.).

ორჭიდში ქალთა შორის მ. ხერგიანის სახელობის თასის მფლობელი გახდა ი. კრუპენინა, ვაჟთა შორის — ლ. გურჩიანი.

გუნდურ პირველობაში, სადაც ქალთა და ვაჟთა სამ-სამი საუკეთესო შედეგი შედიოდა, მ. ხერგიანის სახელობის გარდამავალი თასი თბილისის I გუნდმა დაისაკუთრა — 987,67 ქულა. II ადგილი წილად ხვდა ალმაათის კოლექტივს — 820,14 ქ., ხოლო III — დნეპროპეტროვსკის წარმომადგენლებს — 812,73 ქ.

უნდა აღვნიშნოთ მესტიის გუნდის გოგონათა კარი მონაცემები. სპორტული შემართება. თუ ასე გაგრძელდა, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ უახლოეს ხანში ისინი საპრიზო ადგილებისთვის იბრძოლებენ.

დ. გოზალიშვილი.

• • •

სურათზე: ლ. გურჩიანი.

# მ: სამე ფრაქციული...

**ტაშკენტის** „დინამოს“ კორტებზე თითქმის ორი კვირა მიმდინარეობდა იულდაშ ახუნბაბაევის ხსოვნისადმი მიძღვნილი ჭაბუკებისა და გოგონების (სამი ასაკობრივი ჯგუფი) საკავშირო ტურნირი ჩოგბურთში. მსგავსი შეჯიბრება 1976 წლიდან იმართება ტაშკენტის ფიზკულტურისა და სპორტის საქალაქო კომიტეტის ინიციატივით. ამჯერად საასპარეზოდ გამოვიდა 23 გუნდის 200-მდე ჩოგბურთელი.

გუნდურ ჩათვლაში უძლიერესის სახელი ტაჯიკეთის სპორტსმენებმა დაისაკუთრეს. მეორე ადგილზე მასპინძელთა ნაკრები გავიდა, ხოლო მესამეზე — საქართველოს კოლექტივი. პირად პირველობაში ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელთაგან თავი გამოიჩინეს თბილისის 161-ე საშუალო სკოლის მოსწავლე გ. ქვაბაძემ (საშუალო ასაკი) და საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტმა რ. გეეორქიანმა (უფროსი ასაკი). ისინი პირველ ადგილზე გავიდნენ ერთეულთა თანრიგში. რ. გეეორქიანმა ტაშკენტელ ვ. მარკინთან ერთად გაიმარჯვა წყვილთა თამაშებშიც.

უნდა აღინიშნოს, რომ ტურნირი შესანიშნავად იყო ორგანიზებული. მოიწყო საჩვენებელი გამოსვლები, შეჯიბრების მსვლელობა ფაქტობრივად შუქდებოდა ადგილობრივ პრესაში. ასეთი შეხვედრები ნორმალურ ჩოგბურთელთა დაოსტატების კარგი საშუალებაა, ამიტომ სასურველია. თუ მსგავსი ასპარეზობა თბილისშიც ჩატარდება. ამ საქმეს ... რშანწინ ჩაეყარა საფუძველი, რაც საბჭოთა კავშირის გმირის ... გამცვლელიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი საკავშირო ტურნირი ჩატარდ... მაგრამ, რატომღაც, შარშან ... აღარ გამართულა.

ა. ვერულავა,
საქართველოს ნაკრების მწვრთნელი, სპორტის საპატიო ოსტატ...

# რინგზე არიან სტუდენტები

**ფიზკულტურის** ინსტიტუტის კრიგის დარბაზში დამთავრდა „ბურევესტნიკის“ რესპუბლიკური საბჭოს პირადი პირველობა კრიგში. რინგზე გამოვიდნენ სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის, ფიზკულტურის, სამედიცინო, გორის და ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტების და ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სპორტსმენები (სულ 60-ზე მეტი მოკრივე). წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: ... ცენგერაშვილი (სპი), მ. მგელ... (ქუთაისის პოლიტექნიკური ინ... ტიტუტი), გ. ჯანგიაშვილი, ვ. ... ჩინსკი (ორივე — ფიზკულტურის ... სტიტუტი), გ. მისკარიანი (სპი), ... კაკაბაძე, ტ. ცაბოლაშვილი, ა. ... რაშვილი, ბ. მამულაშვილი (ს...ლა — ფიზკულტურის ინსტიტუტ... ე. სალაძე, ბ. არჩვაძე (ორივე ... თსუ).

გ. ამირაჯ...



# „სირთულე, ოსტატობა, სილამაზე!“

**ტანვარჯიშში** მსოფლიო ჩემპიონატის ქალთა შეჯიბრების შედეგებს კომენტარს უკეთებს სპორტის დამსახურებული ოსტატი ო. კარასოვა:

„სირთულე, უმაღლესი საშემსრულებლო ოსტატობა, მოძრაობის სილამაზე და ელეგანტურობა“ — აი, ყველაზე უფრო თანამედროვე ტანვარჯიშის ფორმულა, რომელსაც ავლენდნენ სტრასბურგის ფიცარნაგზე მსოფლიოს უძლიერესი ტანმოვარჯიშე ქალები. ახლანდელი ჩემპიონატი, ისევე როგორც განვლილი, ხასიათდებოდა სპორტსმენთა მისწრაფებით გააფართოვონ ჩვენი წარმოდგენა ადამიანის სრულყოფის შესაძლებლობებზე სპორტის ამ სახეობაში. მაგრამ კიდევ უფრო ნათლად გამოვლინდა კიდევ ერთი ძალზე სასიამოვნო ტენდენცია: სირთულე არა თვით სირთულისთვის, არა იმისთვის, რომ განაცვიფროს მაყურებელი ზერთული ელემენტებით, არამედ შექმნას გამომსახველი კომპოზიცია, დაიპყროს აუდიტორია, აქციოს იგი თავისებური ტანვარჯიშული სპექტაკლის მონაწილედ.

სასიამოვნოა, რომ ამ მიმართულების ეშმაკიტი ლიდერები მე-19 მსოფლიო ჩემპიონატზე იყვნენ საბჭოთა ტანმოვარჯიშე გოგონები.

ახალმა აბსოლუტურმა ჩემპიონმა, 18 წლის მოსკოველმა ელენე მუხინამ და მრავალჯიდმი ვერცხლის მედლის მფლობელმა, 21 წლის მინსკელმა ნელი კიმმა აჩვენეს არა მარტო შესანიშნავი ტექნიკური მომზადება, ვირტუოზულობა ურთულესი ვარჯიშების შესრულებისას, არამედ ნებისყოფის შეუდარებელი ძალაც. თავიანთი გამოსვლებით მათ მოაჯადოვეს არა მარტო მრავალრიცხოვანი მაყურებელი, არამედ თვით მკაცრი არბიტრებიც, რომლებიც იძულებული იყვნენ ხშირად გამოეტანათ საბჭოთა ტანმოვარჯიშეებისთვის მაქსიმალურთან მიახლოებული შეფასებები — 9,9 და 9,95 ქულა.

მუხინა საოცრად უნიკალური კოორდინაციის მქონე ტანმოვარჯიშეა. სწორედ ეს აძლევს საშუალებას მას და მის მწვრთნელს მ. კლიმენკოს მოამზადონ ყოველ სახეობაში „დამკვრელი ელემენტი“, რომლის გარშემოც უნარიანად იქსოვება მთლიანი კომპოზიცია. ესაა „მთვარის სალტო“ თავისუფალ ვარჯიშში, „კორბუტის ყულფი“ 360 გრადუსზე ბრუნით ორძელზე.

კიმმა უჩვეულოდ მოკლე დროში განაახლა ყველა თავისი ვარჯიში, სარბილზე იგი გამოაყურებოდა დამჯერებლად, სრულყოფილად, ახლებურად. ამ ნიჭიერ სპორტსმენს ჯერ არ ამოუწურავს თავისი შესაძლებლობები.

ჩემპიონატმა ცხადყო რუმინეთის, გდრ-ის, აშშ-ს, უნგრეთის ტანმოვარჯიშე ქალთა პროგრესი.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდის წარმომადგენლებმა დროებითი ჩავარდნის შემდეგ კვლავ განიცადეს პროგრესი განსაკუთრებით, ბჯენითს ხტომებსა და თავისუფალ ვარჯიშში. ამ გუნდის წამყვანი ტანმოვარჯიშეების შ. კრეკერლისა და ს. ჰინდორფის გამოსვლა ტურნირის ნამდვილი მშვენება იყო. მათი მწვრთნელის ჰ. ზაუერის შეხედულებით, მთავარ ამოცანას წარმოადგენს მზადება მოსკოვის ოლიმპიადისთვის, სადაც გუნდს კარგი შანსები ექნება. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ გდრ-ში გამოჩნდნენ ე. ცუპოლდისა და კ. ინგრის მემკვიდრეები.

მიუხედავად ამისა, ტურნირელმა გერმანელებმა [illegible] ბრინჯაოს მედალი [illegible] ვარჯიშში), მათი საერთო სიძლიერე უდავოა. რუმინეთის გუნდში გამოჩნდა შესანიშნავი დებიუტანტი — 14 წლის ემილია ებერლე, რომელმაც სტრასბურგში მიიღო 4 მედალი — 3 ბრინჯაოსი ცალკეულ სახეობებში და ვერცხლისა — გუნდურ ტურნირში.

ძალზე საინტერესო პროგრამით გამოვიდნენ ამერიკელი ქალები, რომლებიც წინათ მუდამ ჩამორჩებოდნენ ევროპელებს. მსოფლიო ტანვარჯიშის ისტორიაში ამერიკელმა ტანმოვარჯიშეებმა პირველად მოიპოვეს ოქროს მედლები. 15 წლის მოსწავლის მარცია ფრედერიკის კომპოზიცია ორძელზე არაჩვეულებრივად დინამიური და თანამედროვეა, ამასთან შესრულდა უმაღლეს ტექნიკურ დონეზე. არ შეიძლება არ აღინიშნოს კ. ჯონსონის თავისუფალი ვარჯიში.

მთელს მსოფლიოში ტანვარჯიშის პოპულარობის ზრდის უდავო ნიშანია ის, რომ სტრასბურგის ჩემპიონატში პირველად წარმოადგინეს სრული გუნდები ავსტრალიამ და ბრაზილიამ, რომლებიც ამამდე მხოლოდ პირად ჩათვლაში გამოდიოდნენ ხოლმე. რაც უფრო მეტი ტანმოვარჯიშე გამოდის საერთაშორისო სარბიელზე, მით უფრო საინტერესოა ბრძოლა და კონკურენცია გამარჯვებისთვის.

• • •

**სურათებზე: მსოფლიო ჩემპიონატში გამარჯვებული საბჭოთა ტანმოვარჯიშე ქალები (მარცხნიდან) ნ. შაპოშნიკოვა, ე. მუხინა და ნ. კიმი; მარჯვნივ — მრავალჯიდში გამარჯვებულ ვაუთა სამეული: ე. კენმოცუ (იაპონია), ნ. ანდრიანოვი და ა. დიტიატინი (ორივე — სსრ კავშირი).**

# ქართველ აკრობატთა წარმატება

მურმანსკის სპორტის სახახლეში „შრომითი რეზერვების“ საოლქო საბჭოსა და კომკავშირის საოლქო კომიტეტის ინიციატივით მოეწყო ტრადიციული სამატჩო შეხვედრა სპორტულ აკრობატიკაში გაზეთ „კომსომოლეც ზაპოლიარიას“ პრიზზე, რომელიც კომკავშირის მე-60 წლისთავს მიეძღვნა.

შეჯიბრებამდე, რომელშიც 18 გუნდი მონაწილეობდა, ქულათა ყველაზე მეტი რაოდენობა მოაგროვა თბილისის „შრომითი რეზერვების“ ნაკრები გუნდის ვაუთა ოთხეულმა (ბია და თამაზ აღაკიშვილები, ბია გაგოშვილი, თამაზ ბერიძე), აგრეთვე, ვაუთა წყვილმა (სერგეი სიხოევი, ალბერტ ზალინიანი). გუნდური პირველი ადგილიც თბილისის „შრომითი რეზერვების“ ნაკრებმა მოიპოვა. II ადგილი ლენინგრადელებს, III — კრასნოდარელ აკრობატებს ერგოთ.

## ხელბურთი

### ლიდერი კვლავ იმარჯვებს

ლიტვის ქალაქ ალიტუსში ხელბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის ვაუთა ფინალურ ტურნირში პირველი-მეექვსე ადგილები) ისევ წარმატებით გამოდის გამამაშვების ლიდერი ცსკა. მორიგ ტურში არმიელებმა ანგარიშით 33:20 (13:11) დაამარცხეს კაუნასის „გრანიტასი“. მაი-მ ორი ქულის სხვაობით მოუგო ზაპოროჟეცს ზიი-ს — 27:25 (16:12), მოსკოვის „კუნცევომ“ — ზაპოროჟეცს ზა-ს — 30:22 (13:10).

### სპორტსკოლის თასზე

საინტერესოდ ჩატარდა ბავშვთა სპორტსკოლის თასის გათამაშება ფეხბურთში. გადამწყვეტ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ საჩხერის 1-ლი და მე-2 საშუალო სკოლების გუნდები. წარმატება წილად ხვდათ მეორესკოლელებს (ფეიაზოლრდის მასწავლებელი ა. ბაბბანიძე).

ა. ანასაშვილი.

## საქართველოს ჭიჭყინაჯა

**გაიმართა** რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი კალენდარული შეხვედრები.

**„კოლხეთი“ (ფოთი) — „მეშახტე“ (ტყიბული) 3:1. მსაჯი გ. გვანცელაძე (თბილისი).**

გათამაშების ლიდერთა მატჩს მრავალი მაყურებელი დაესწრო. მის შედეგს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ორივე გუნდისთვის. თამაში დაიწყო იმით, რომ სტუმრების კარში მე-2 წუთზე დაინიშნა 11-მეტრიანი საჯარიმო, მაგრამ ღურწკაიას დარტყმა აცდა მიზანს. 27-ე წუთზე წარმატებას მიაღწია ტყიბულელმა ქარქაშაძემ და გახსნა ანგარიში. ამის შემდეგ ინიციატივა მთლიანად ფოთელთა მხარეს გადავიდა, იმავე ღურწკაიამ გამოასწორა თავისი შეცდომა და გაქვითა გოლი, მერე კი სანაიამ ორჯერ აიღო „მეშახტის“ კარი.

**„მზიური“ (გალი) — „კოლხეთი“ (ხობი) 3:3. მსაჯი ნ. წურქავა (ფოთი).**

პირველ წარმატებას ამ მატჩში მიაღწიეს სტუმრებმა (კირთაძე). ეს გოლი გაქვითა გუგუჩიამ, ხოლო ნეფარიძემ და ქარდავამ წინ გაიყვანეს „მზიური“ — 3:1. ამის შემდეგ მასპინძლებმა მოადუნეს თამაში, ბათს კარში დაინიშნა 2 პენალტი და ორივე ზუსტად გამოიყენა კირთაძემ — 3:3.

**„სპარტაკი“ (ცხინვალი) — „ჩიხურა“ (საჩხერე) 1:0. მსაჯი შ. ხანიაშვილი (თბილისი).**

**ასკ (თბილისი) — „სქური“ (წალენჯიხა) 2:0. მსაჯი ვ. მიმინოშვილი (თბილისი).**

არმიელებმა კარგად ითამაშეს და დამსახურებულადაც გაიმარჯვეს (დაუშვილი, ქელეხიძე).

**„კოლხეთი“ (ფოთი) — „სპარტაკი“ (ცხინვალი) 5:1. მსაჯი გ. მიქაუტაძე (ქუთაისი).**

**„კოლხეთი“ (ხობი) — პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) 2:0. მსაჯი ა. ჯანანაშვილი (თბილისი).**

ხობელებს პირველ ტაიმშივე შეეძლოთ დაწინაურება, მაგრამ კირთაძემ ვერ გამოიყენა 11-მეტრიანი. შესვენების შემდეგ სტუდენტთა გუნდის კარი ორჯერ იქნა აღებული ფარცვანიას და გვასალიას მიერ.

**„ნადიკვარი“ (თელავი) — „მეტალურგი“ (ზესტაფონი) 4:0. მსაჯი ა. მანუკიანი (თბილისი).**

მასპინძელთა სრული უპირატესობა აღინიშნა 4 „მშრალი“ გოლით, რომელთაგან 2 ეკუთვნის როლ. ცირეკიძეს, თითო — მაისურაძეს და კირეალიძეს.

**„ჩიხურა“ (საჩხერე) — „დურუჯი“ (ყვარელი) 5:0. მსაჯი მ. კოტიაშვილი (გორი).**

ხუთიანე ბურთი გატანილი იქნა შესვენების შემდეგ (2 — ივანოვმა, თითო — წოკლაურმა, ებრალიძემ და თურმანიძემ). ამას გარდა, თურმანიძემ ვერ გამოიყენა პენალტი.

**„მეტალურგი“ (რუსთავი)—„მერცხალი“ (მახარაძე) 3:0. მსაჯი ლ. ღონღაძე (თბილისი).**

**„მეშახტე“ (ტყიბული) — „სალხინო“ (გეგეჭკორი) 1:1. მსაჯი შ. ხანიაშვილი (თბილისი).**

**„მაღაროელი“ (ჭიათურა) — ასკ (თბილისი) 2:0. მსაჯი ნ. წურქავა (ფოთი).**

**„მზიური“ (გალი) — „ამირანი“ (ოჩამჩირე) 2:2. მსაჯი გ. გაბისკირია (სოხუმი).**

მასპინძელთა მხრივ ბურთები გაიტანეს ზაქარაიამ და გუგუჩიამ, ხოლო სტუმართაგან — ქობალიამ და გოგოლაშვილმა (პენალტი). 11-მეტრიანი დარტყმა ვერ გამოიყენა გალელმა ოსტროვსკიმ.

**„სპარტაკი“ (თბილისი) — „ივერია“ (ხაშური) 1:0. მსაჯი ჯ. წერეთელი (რუსთავი).**

სპარტაკელებს გამარჯვება მოუტანა ხუბეჯიშვილის მიერ გატანილმა გოლმა.

**„მეტალურგი“ (ზესტაფონი) — ასკ (თბილისი) 2:1, მსაჯი მ. კოტიაშვილი (გორი).**

ტაიმი მოიგეს არმიელებმა (რამიშვილი). სპასუხო ბურთი 48-ე წუთზე გაიტანა გლონიანოვმა, შემდეგ კი კიკნაველიძემ მეორედ აიღო სტუმრების კარი.

**„სპარტაკი“ (თბილისი) — „მერცხალი“ (მახარაძე) 1:0. მსაჯი თ. სადილიანი (თბილისი).**

გოლი სტუმრების კარში გაიტანა ფუტაშვილმა.

**„მეტალურგი“ (რუსთავი) — „სპარტაკი“ (ცხინვალი) 3:1. მსაჯი შ. ხანიაშვილი (თბილისი).**

პირველი ტაიმის დასასრულს კოდანაშვილმა 2 ბურთი გაიტანა სპარტაკელთა კარში. შემდეგ ჩოჩიევმა შეამცირა სხვაობა ანგარიშში, მაგრამ ამიდიანმა შეძლო მესამე ბურთის გატანა.

**„კოლხეთი“ (ფოთი) — „კოლხეთი“ (ხობი) 3:0. მსაჯი თ. სადილიანი (თბილისი).**

ბურთები გაიტანეს სანაიამ, გვალიამ და გუდავაძემ.

**„მეშახტე“ (ტყიბული) — „დურუჯი“ (ყვარელი) 2:0. მსაჯი რ. გარნოვსკი (სამტრედია).**

ორივე ბურთი მატჩის პირველ ნახევარში გაიტანეს ძაგნიძემ და ქარქაშაძემ.

### გათამაშების ცხრილი

#### I ჯგუფი

**მდგომარეობა 1 ნოემბრისთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „კოლხეთი“ ფ. | 39 | 26 | 8 | 5 | 88—31 | 60 |
| „მეტალ.“ რ. | 40 | 25 | 6 | 9 | 66—30 | 56 |
| „მეშახტე“ | 39 | 23 | 10 | 6 | 62—33 | 56 |
| „მზიური“ | 40 | 23 | 8 | 9 | 69—39 | 54 |
| „მაღაროელი“ | 39 | 18 | 10 | 11 | 69—55 | 46 |
| „ენერგეტ.“ | 41 | 18 | 10 | 13 | 55—43 | 46 |
| „კოლხეთი“ ხ. | 39 | 15 | 12 | 12 | 41—40 | 42 |
| „მერცხალი“ | 38 | 15 | 11 | 12 | 52—39 | 41 |
| „ამირანი“ | 40 | 16 | 8 | 16 | 38—49 | 40 |
| ასკ თბ. | 36 | 14 | 11 | 11 | 40—35 | 39 |
| „ივერია“ | 39 | 15 | 8 | 16 | 31—45 | 38 |
| „ნადიკვარი“ | 38 | 12 | 13 | 13 | 51—48 | 37 |
| „სალხინო“ | 39 | 13 | 11 | 15 | 53—71 | 37 |
| „სპარტ.“ თბ. | 38 | 15 | 6 | 17 | 45—51 | 36 |
| „მეტალ.“ ზ. | 40 | 12 | 12 | 16 | 54—65 | 36 |
| „სქური“ | 39 | 14 | 7 | 18 | 50—53 | 35 |
| ფიზკ. ინსტ. | 39 | 15 | 5 | 19 | 44—70 | 35 |
| პოლ. ინსტ. | 40 | 15 | 4 | 21 | 58—61 | 34 |
| „სპარტ.“ ცხ. | 39 | 12 | 9 | 18 | 57—63 | 33 |
| „ჩიხურა“ | 40 | 11 | 9 | 20 | 55—63 | 31 |
| „ეგრისი“ | 38 | 10 | 11 | 17 | 33—50 | 31 |
| „დურუჯი“ | 40 | 12 | 4 | 24 | 32—56 | 28 |

#### II ჯგუფი

##### I ზონა

„გამარჯვება“ (ვარდაბანი) — „სიონი“ (ბოლნისი) 2:4. „მესხეთი“ (ახალციხე) — „განახლება“ (ადიგენი) 2:1, „ჰერეთი“ (ლაგოდეხი) — „თრიალეთი“ (წალკა) 3:0, „განთიადი“ (თბილისი) — „ცისკარი“ (სიღნაღი) 13:0, „ქართლი“ (გორის რაიონი) — „ალაზანი“ (გურჯაანი) 4:2, ტაქსომოტორი № 3 (თბილისი) — „იორი“ (თიანეთი) 5:3, „გარისი“ (თეთრი წყარო) — „ბახტრიონი“ (ახმეტა) 2:1. ახმეტის „ფიჩხოვანს“ გამარჯვება ჩაეთვალა მცხეთის „არაგვთან“.

##### II ზონა

„მეშაღალდე“ (ზუგდიდი)—„გიგანტი“ (ლაითური) 1:0, „ნაკადული“ (ჩხოროწყუ) — „სამგურალი“ (წყალტუბო) 4:0, „ბახმარო“ (ჩოხატაური) — „ავტომობილისტი“ (ბათუმი) 2:0, „სულორი“ (ვანი) — „ავტომობილისტი“ (მაიაკოვსკი) 6:0, „ჩამომსხმელი“ (ბორჯომი) — „სენაკი“ (ცხაკაია) 2:1, „მეშაქრე“ (აგარა) — „ნარუჯა“ (მახარაძე) — 2:1.

## ფეხბურთი

### ზონალური პირველობა

ჩაის საბჭოთა მეურნეობა (ჩაქვი) — „მადნეული“ (ბოლნისი)— 4:0, „ღრმაღელე“ (ლანჩხუთი) — „ლესიჭინე“ (ჩხოროწყუ) 1:1.

### საჯარიმო დარტყმა

ახლა, როცა გათამაშება დასასრულს უახლოვდება, იმატა დისციპლინის უხეშ დარღვევათა შემთხვევებმა, რაც არავითარ შემთხვევაში არ უნდა დარჩეს სათანადო რეაგირების გარეშე.

მოწინააღმდეგის მიმართ ჩადენილი უხეშობისთვის მსაჯმა მინდვრიდან გააძევა ababის „ავტომობილისტის“ ფეხბურთელი ე. ჯორბენაძე, რომლის მინდვრიდან გაყვანას 8 წუთი დაჭირდა. მისმა თანაგუნდელმა კ. ჭანტურიამ სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა მსაჯს, რისთვისაც მას აჩვენეს წითელი ბარათი. კ. ჭანტურია არ დაემორჩილა მსაჯს, არ დატოვა მინდორი და ამის გამო მატჩი ჩაშალა.

მსაჯის სიტყვიერი შეურაცხყოფისათვის მინდვრიდან იქნა გაძევებული ყვარლის „დურუჯის“ ფეხბურთელი თ. ტალახაძე, ასევითვე საქციელი ჩაიდინა სიღნაღის „ცისკრის“ წევრმა დ. მჭედლიშვილმა, რომელიც აგრეთვე იქნა გაძევებული. უხეშად ითამაშა ცხინვალის „სპარტაკის“ ფეხბურთელმა გ. აჭარაძემ და ისიც გაძევებულია მინდვრიდან.

მახარაძის „მერცხლის“ ფეხბურთელი ბ. ლომინაძე უწინ გაძევებული იყო მინდვრიდან, რის შემდეგ მან მიიღო გაფრთხილება. დებულების თანახმად ბ. ლომინაძე დისკვალიფიცირებულია 3 თამაშით.

მესამე გაფრთხილება მიიღო ფოთელმა თ. ტუებუჩავამ, რომელიც დებულების თანახმად გააცდენს 3 მატჩს.

სხვადასხვა ხასიათის დანაშაულისთვის გაფრთხილებული არიან შემდეგი ფეხბურთელები: ხ. ababიძე და ვ. ვალიანსკი („ივერია“, ხაშური), თ. ლორთქიფანიძე („სპარტაკი“, თბილისი), გ. ჭუბაბრია, ზ. დანელია და პ. გვასალია („სალხინო“, გეგეჭკორი), ხ. ღონღაძე („დურუჯი“ ყვარელი), გ. მოწონელიძე („სპარტაკი“, ცხინვალი), მ. ხიჭინავა („ლესიჭინე“, ჩხოროწყუ).

**საქართველოს სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველო.**

# ქვეყნის პირველი ჩოგნეგი





მაღალმა ტექნიკამ და საზრიანობამ გამარჯვება მოუტანა სსრ კავშირის ჩემპიონატში სპორტის დამსახურებულ ოსტატს თბილისელ ალექსანდრე მეტრეველს. მან მეთერთმეტე ოქროს მედალი მოიპოვა ერთეულთა თანრიგში.

ქალებში ქვეყნის ჩემპიონობა, როგორც ცნობილია, პირველად მოიპოვა 20 წლის მოსკოველმა ნატალია ჩმირიოვამ.

სურათზე: ნ. ჩმირიოვა და ა. მეტრეველი.

საკდესის ფოტოქრონიკა.

## ჩოგბურთი — მსოფლიოს კორტებზე

**უიმბლდონის** ტურნირების სამგზის გამარჯვებული, 23 წლის შვედი ბორნ ბორგი გამარჯვებული გამოვიდა მანილის საერთაშორისო ბლიც-ტურნირში, სადაც მისი მეტოქე იყო სამი ამერიკელი სპორტსმენი — მსოფლიოს მესამე ჩოგნის ვიტას გერულაიტისის მეთაურობით. ბორგმა გერულაიტისი დამარცხა გადამწყვეტ ბრძოლაში — 6:2, 7:5.

**26 წლის** არგენტინელმა გილერმო ვილასმა, რომელიც წლეულს წარუმატებლად გამოდის დიდ შეჯიბრებებში, მოიგო შეიცარიის ჩემპიონატი ბაზელში. გადამწყვეტ მატჩში მან დამარცხა აშშ-ის ერთ-ერთი საუკეთესო ჩოგბურთელი ჯონ მაკენროი — 6:3, 5:7, 7:5, 6:4.

**შტუტგარტში** 15 წლის ამერიკელმა ტრეისი ოსტინმა, რომელსაც მსოფლიოს ამომავალ ვარსკვლავად თვლიან, პირველობა მოიპოვა აქ დამთავრებულ საერთაშორისო ტურნირში. ფინალში მან სძლია გამოცდილ ბეტი სტოუვს (ჰოლანდია) — 6:3, 6:3.

**ამერიკული** ჩოგბურთის ვეტერანი, 31 წლის სტენ სმითი ავსტრიის დედაქალაქში გამართულ საერთაშორისო ტურნირის ფინალში შეხვდა უნგრეთის ჩემპიონს, 24 წლის ბალაშ ტაროცის. თანაბარ ბრძოლაში გაიმარჯვა სმითმა — 4:6, 7:6, 7:6, 6:3.

**იტალიის** პირველმა ჩოგანმა, 28 წლის ანდრიანო პანატამ თავი გამოიჩინა ტოკიოში გამართულ დიდ საერთაშორისო შეჯიბრებაში, სადაც მისი მეტოქე გადამწყვეტ შეხვედრაში იყო ახალგაზრდა ამერიკელი ჩოგბურთელი პატ დიუპრე. იტალიელმა გაიმარჯვა — 6:3, 6:2.

## „სპორტლოტოს“ 43-ე ტირაჟები და მისი შედეგები

**გასულ** შაბათს მოსკოვში გაიმართა „სპორტლოტოს“ მორიგი, 43-ე ტირაჟები.

აი, იღბლიანი ციფრები და სახეობები.

„6 — 49-დან“.

**პირველი:** 1 (ავიასპორტი), 3 (აკრობატიკა), 7 (ბიატლონი), 13 (წყალსათხილამურო სპორტი), 23 (მძლეოსნობა), 27 (მოტოსპორტი). შეღავათიანი ბურთულა — 8 (კრივი).

**მეორე:** 3 (აკრობატიკა), 6 (კალათბურთი), 12 (წყალსამოტორო სპორტი), 24 (თხილამურები), 38 (მშვილდოსნობა), 47 (ჰოკეი ბურთით). შეღავათიანი ბურთულა — 30 (აფროსნობა).

„5 — 36-დან“.

**პირველი:** 2 (ბიატლონი), 16 (ცხენოსნობა), 20 (თხილამურებით ტრამპლინიდან ხტომა), 25 (ციგაობა), 30 (სასტენდო სროლა).

**მეორე:** 1 (კალათბურთი), 18 (მძლეოსნობა), 28 (მშვილდოსნობა), 31 (ძალოსნობა), 34 (ფეხბურთი).

აი, რა მოგება ხვდათ ამ ტირაჟებში გამოცნობილ ნომრებს.

**„სპორტლოტო 6 — 49-დან“.** ისინი, ვინც პირველ გათამაშებაში სწორად გადახაზა ხუთი ნომერი, მიიღებენ 753-753 მანეთს. ოთხი პლიუს ერთი ნომრის გამოცნობისთვის მოგება 53 მანეთია. ოთხი ნომრის გამოცნობისთვის — 28 მან, სამისთვის — 3 მან.

მეორე გათამაშებაში ხუთი ნომრის გამოცნობისთვის მოგება შეადგენს 1560 მანეთს, ოთხი პლიუს ერთი ნომრის გამოცნობისთვის — 69 მან, ოთხისთვის — 44 მან, სამისთვის — 3 მან.

**„სპორტლოტო 5 — 36-დან“.** პირველ გათამაშებაში ხუთად გამოცნობილი ხუთი ნომრისთვის მოგება 9140 მანეთია, ოთხისთვის — 133 მან. სამისთვის — 5 მან.

მეორე გათამაშებაში, ვინც ხუთი ნომერი გამოიცნო, მიიღებს 10000 მანეთს, ოთხი გამოცნობილი ციფრისთვის მოგება — 317 მანეთია, ხოლო სამი ნომრის გამოცნობისთვის — 8 მანეთი.

ამ ტირაჟებში მოგებული თანხის გაცემა იწარმოებს 8 ნოემბრიდან 8 დეკემბრის ჩათვლით.

## კარატის „პრემიერა“ კუბაში

**ჰავანა.** ქალაქ სანტიაგო-დე-კუბაში ჩატარდა ქვეყნის პირველი ჩემპიონატი კარატეში. ბოლო წლებში სპორტის ამ სახეობამ თავისუფლების კუნძულზე დიდი პოპულარობა მოიპოვა. შეჯიბრებაში ყველა პროვინციის 150 კარატისტმა მიიღო მონაწილეობა. I ადგილი დაიკავეს ჰავანის პროვინციის სპორტსმენებმა.

შეჯიბრება როგორც ვაკთა, ისე ქალთა შორის 60,70,80 კგ და თავისუფალ წონით კატეგორიებში ჩატარდა.

ასპარეზობის ბოლო დღეს გაიმართა სპეციალური ტურნირი — „შავი ქამრები“, რომელშიც ყველა მსურველს შეეძლო მონაწილეობა. (საკდესი).

ესტეტიკა.

ა. ოქროპირიძის ნახატი.

„ლოკომოტივის“ სტადიონი

(ი. ჭავჭავაძის პრ. № 74)

**რ ე გ ბ ი**

3 ნოემბერი

სსრ კავშირის თასის ნახევარფინალი

„ლოკომოტივი“ (თბილისი) — სსა (მონინო)

დასაწყისი 16 ს.

# ფესტივალი — დიდი სპორტული მოვლენა

**ოლიმპიადა-80-ისთვის** მზადებაში ამერიკელებმა დიდი მნიშვნელობა მიანიჭეს თავიანთ პირველ სპორტულ ფესტივალს, რომლის „წინაპარი“, თავად ამერიკელების აზრით, სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაა. ვფიქრობთ, ამერიკულ ჟურნალში დაბეჭდილი ამ ფესტივალისადმი მიძღვნილი წერილი ინტერესმოკლებული არ იქნება ჩვენი სპეციალისტებისთვის, სპორტსმენებისა და სპორტის მოყვარულთათვის.

**ნიუ იორკი.** „მსგავსი საზაფხულო შეჯიბრებების საბჭოთა ვარიანტი ცნობილია „სპარტაკიადის“ სახელწოდებით. იაპონელები ასეთსავე შეჯიბრებას „კოკუტაის“ უწოდებენ. ბოლოს და ბოლოს, შეერთებულმა შტატებმაც მიბაძეს მათს მაგალითს და პირველი ეროვნული სპორტული ფესტივალი — ჩვენი საკუთარი „სპარტაკიადა“ კოლორადოს მთებსა და ველებზე ჩატარდა“. ასე იწყება ჟურნალ „სპორტს ილიუსტრეიტედში“ დაბეჭდილი აშშ-ის პირველი სპორტული ფესტივალისადმი მიძღვნილი წერილი.

ოთხ დღეს მიმდინარეობდა აშშ-ის ოლიმპიური კომიტეტის ხელშეწყობით გამართული ფესტივალი, რომლის ჩატარება განზრახულია ყოველწლიურად, ოლიმპიური წლის გამოკლებით. ოლიმპიურ კომიტეტს მიაჩნია, რომ „ეროვნული ოლიმპიადა“ ხელს შეუწყობს ახალგაზრდა ტალანტების გამოვლენას. თუ ვიმსჯელებთ იმ საზეიმო განწყობილებისა და მონდომების მიხედვით, როგორითაც ჩატარდა ფესტივალი, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ იგი დამკვიდრდება.

ეროვნული ფესტივალის ჩატარებით კოლორადოში ოლიმპიურმა კომიტეტმა კიდევ უფრო განამტკიცა ამ შტატის, როგორც ქვეყნის, „ოლიმპიური ცხოვრების“ ცენტრის პოზიციები. იენისში აშშ-ის ოლიმპიურმა კომიტეტმა თავისი შტაბ-ბინა შეჩეტენიდან კოლორადო-სპრინგსში გადაიტანა და აქვე მოათავსა თავისი ორი ახალი ოლიმპიური საკარჯიშო (ენტრიდან ერთ-ერთი. სკეპტიკოსები ფიქრობდნენ, რომ ფესტივალი ქაოსურად ჩატარდებოდა. თუ გავითვალისწინებთ, რომ სპორტის 26 სახეობაში მოპაექრე 2165 სპორტსმენი ხანდახან ერთმანეთს 40 მილით დაცილებულ ბაზებზე ეჯიბრებოდნენ, ეს მართლაც შეიძლებოდა მომხდარიყო. მაგრამ 1,4 მილიონ დოლარად ღირებული ღონისძიების პირველმა ძნელმა დღემ წარმატებით ჩაიარა: მან გაუძლო კოკაპირულ წვიმასაც, რომელმაც მძლეოსნების, მშვილდოსნებისა და ბალახის ჰოკეისტების გეგმები სულ არია.

პროგრამაში, რომელიც ხანდახან ძალიან სწრაფად ტარდებოდა, შედიოდა ბეისბოლი, სოფტბოლი და სინქრონული ცურვა, თუმცა ყველა ესენი არაოლიმპიური სახეობებია. ორგანიზატორებმა ერთად შეკრიბეს აშშ-ის ოთხი რეგიონის — სამხრეთის (სპორტსმენებს ეცვათ მწვანე ფორმა), დასავლეთის (წითელი), აღმოსავლეთის (ლურჯი) და შუა დასავლეთის (ნარინჯისფერი) გუნდები. ორნი ჰავაის კუნძულიდან (ერთი ქალიფორნიელი და ერთიც არიზონელი) სამხრეთის ფერებზეთ ეცვათ გუნდის ღირსებას იცავდნენ. შეჯიბრებები საერთაშორისო წესით ჩატარდა. გამარჯვებულებს მედლებს გადასცემდნენ და სპორტსმენებიც არ იყვნენ გულგრილნი ამ ჯილდოსთვის ბრძოლაში.

ოლიმპიური კომიტეტის ენთუზიაზმით კმაყოფილი ფესტივალის მონაწილეები კვინს ოვაციებით შეხვდნენ. გულაჩუყებულმა კვინმა არ წარმოთქვა წინასწარ მომზადებული სიტყვა. „ყველაფერი, რის თქმასაც ვაპირებდი, ძალიან მაღალფარდოვანია, — უთხრა მან დამსწრეებს, — ვიმედოვნებ, რომ თქვენ, სპორტსმენები, ოდესმე გაიხსენებთ ამ ფესტივალს და მიხვდებით, რომ მასშტაბითა და პრესტიჟით მას მხოლოდ ოლიმპიური თამაშები აჯარბებენ“.

30-იანი წლების სპრინტერმა, შემდეგში კორნელის სკოლის სპორტულმა დირექტორმა კვინმა პირველად 15 წლის წინათ წამოაყენა წინადადება „აშშ-ის სპორტული ფესტივალის“ გამართვის თაობაზე. მაშინ ამ იდეას არავინ გამოხმაურებია. მას შემდეგ, რაც კვინი აშშ-ის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ვახდა, გადაწყვიტა, რომ ამ ფესტივალის მოსაწყობად გამოეყენებინა ზაფხულის თვეები.

ზოგ შეჯიბრებაზე დასწრება უფასო იყო. საერთოდ კი ბილეთი სამ დოლარზე მეტი არ ღირდა. შეჯიბრება ბევრ სახეობაში თითქმის ერთდროულად ტარდებოდა, ამიტომ მაყურებლები ერთ ღონისძიებაზე დიდხანს არ ჩერდებოდნენ, რადგან სურდათ სხვა ასპარეზობის თუნდაც მცირე ნაწილი ენახათ.

გულშემატკივართა დიდმა რაოდენობამ მოიყარა თავი ხელბურთელთა ასპარეზობის საყურებლად. სპორტის ეს ოლიმპიური სახეობა ევროპაში თითქმის 100 წელია პოპულარობით სარგებლობს.

პირველი ეროვნული სპორტული ფესტივალი პაილს-პიკის მთის მწვერვალზე მოწყობილი ფეიერვერკით დამთავრდა. თქვეს, რომ მომავალ წელს ფესტივალი ბევრად უკეთ ჩატარდება. კვინმა განაცხადა, რომ აშშ-ის ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა უკვე მიიღო განაცხადები ნიუ იორკიდან, როჩესტერიდან (ნიუ იორკის შტატი). კოლორადო-სპრინგსს კვლავ სურს ფესტივალის ჩატარება. კვინმა თქვა, რომ ეს „დიდ დახმარებას გაუწევს სპორტის ნაკლებად პოპულარულ სახეობებს. ეს იქნება ყველა საქმეზე უკეთესი, რაც ოდესმე განუხორციელებია აშშ-ის ოლიმპიურ კომიტეტს“. კვინის ენთუზიაზმი გაინაწილა სპორტის ბევრმა გამოჩენილმა მოღვაწემ, მათ შორის შუა დასავლეთის ფრენბურთელთა გუნდის მწვრთნელმა მიკ ჰეილმ: „ჩემის აზრით, 5 წლის შემდეგ ფესტივალი ყველაზე დიდი სპორტული მოვლენა იქნება შეერთებულ შტატებში“, — იწინასწარმეტყველა მან (საკდესი).

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

## ხვალ

3 ნოემბერს, თბილისის ლენინური კომკავშირის სახელობის ცენტრალური საწყლოსნო-სპორტული კომპლექსის საკონფერენციო დარბაზში გაიმართება

**ცურვის ფედერაციის გაფართოებული კლუბი**

დღის წესრიგშია: 1. **საქართველოში ცურვის განვითარების მდგომარეობის შესახებ** (მომხს. საქართველოს სპორტკომიტეტის ცურვის მთავარი მწვრთნელი მ. ამილახვარი); 2. **სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადისთვის რესპუბლიკის მოცურავეთა ნაკრები გუნდის მზადების შესახებ** (მომხს. № 3 უმაღლესი სპორტული ოსტატობის სკოლის დირექტორი ბ. ბაჟანოვი).

დასაწყისი 12 ს.

**1978 წლის 8 ნოემბერს 18 საათზე** ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონის სპორტის ოსტატთა კლუბში შედგება ქ. თბილისის ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახალხო უნივერსიტეტის მორიგი მეცადინეობა.

მოსმენილი იქნება ლექციები: აკადემიკოსი ვ. ოკუჯავა — „ფიზიოლოგიური კვლევის მნიშვნელობის შესახებ სპორტული პრაქტიკისათვის“; პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი ვ. ელაშვილი — „ფიზიკური აღზრდა — როგორც კომუნისტური აღზრდის ორგანული ნაწილი“.

რეჟისორატი.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და კარასაპეკვისა. რედაქციის მისამართი: 380016, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99 56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97 52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93 97-51; ფოსწყვლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97 53; ჭადრაკის — 93-97-26; სამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97 54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93 93 81; ფოტოლაბორატორია — 93 97-58; მემანქანეები — 93-97-57.